



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

29 აგვისტო 2024



N 485/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისის და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „არაგვის“ რეკონსტრუქცია/ გაორჯაჭვიანებასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (ს.კ. 204995176) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 7 ნოემბერს (წერილი N10830) წარმოდგენილია თბილისის და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „არაგვის“ რეკონსტრუქცია/გაორჯაჭვიანებისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N636/ს; 13/11/2023) შექმნა და და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია - შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

2023 წლის 3 მარტს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა თბილისის და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „არაგვის“ რეკონსტრუქცია/ გაორჯაჭვიანებისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N469/ს 18/11/2022, სკოპინგის დასკვნა N66).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილები N21/842 და N21/5712), სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N3869 და N7165). კერძოდ, წარმოდგენილი იქნა საინჟინრო-გეოლოგიური რუკა (კოორდინატთა ბადის და ეგზ-ის საპროექტო მონაკვეთის მითითებით), ასევე, მეწყრის პარამეტრების (სიგრძე, სიგანე, ფართობი, სავარაუდო სიმძლავრე, აქტიურობის ხარისხი და სხვ.) შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, დაზუსტდა ჭაბურღილების, გლდანის ტერიტორიაზე და ქსნის მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი ქანების შესახებ

ინფორმაცია. ასევე, წარმოდგენილ იქნა საპროექტო ტერიტორიაზე ფერდის მდგრადობის, ფერდობის მეწყრული პროცესების ჩასახვის და გააქტიურების შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, წარმოდგენილ იქნა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან და შპს საქართველოს მელიორაციასთან თანხმობის შესახებ წერილები. ზემოაღნიშნული საკითხები განხილული იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N202/ს 17/04/2024; ბრძანება N379/ს 23/07/2024), დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, 220 კვ. ძაბვის ერთჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზი „არაგვი“ მდებარეობს თბილისის და მცხეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე და მოიცავს გლდანის, მამკოდის, წეროვანის, წიწამურის, საგურამოს, ნატახტრის, წილკნის, ძველი ქანდის, პატარა ქანდის და ქსნის მიმდებარე ტერიტორიებს. დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ქს „ქსანი 500“-ის თბილისის ქსელთან მიერთების დამატებითი წყაროთი უზრუნველყოფა, კერძოდ ქს „ქსანი 500“-ის ქსელთან მიერთებისათვის მოხდება 220 კვ ერთჯაჭვიანი ეგხ „არაგვი“-ს გაორჯაჭვიანება და გაიზრდება ქალაქ თბილისის ელექტრომომარაგების დამატებით უზრუნველყოფა. ეგხ-ის 9.393 კმ-ზე დაგეგმილია ახალი დერეფნის მოწყობა, ხოლო დანარჩენ 22,37კმ სიგრძის არსებულ მონაკვეთზე შესრულდება სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

როგორც აღინიშნა, ქს „გლდანი 220“-დან 9.393 კმ სიგრძის ეგხ-ის საწყისი მონაკვეთი გაივლის ახალ დერეფანში, კერძოდ არსებული დერეფნის ზედა ნიშნულებზე. აღნიშნული ცვლილების მიზანია, არსებული ეგხ-ის მჭიდროდ დასახლებული ურბანული ზონის ფარგლებს გარეთ გატანა. საწყის მონაკვეთზე არსებული ძველი ხაზის დემონტაჟი მოხდება ელექტროგადამცემი ხაზის გაორჯაჭვიანების სამუშაოების დამთავრების შემდგომ. დანარჩენ 22,37 კმ-ზე დაგეგმილია ელექტროგადამცემი ხაზის გაორჯაჭვიანება, კერძოდ 5,87 კმ-იან მონაკვეთზე მეორე ჯაჭვისთვის დამონტაჟდება ახალი გირლანდები და სადენები, ხოლო 16.5 კმ-იანი მონაკვეთზე გათვალისწინებულია რამდენიმე საყრდენის დემონტაჟი და ახალი საყრდენების განთავსება.

გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია არაქმედების და ეგხ-ის მარშრუტის ალტერნატივები. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ეგხ-ის განთავსების სამი ალტერნატივა. პირველი ალტერნატივის შემთხვევაში გათვალისწინებულია ახალი ეგხ-ის მშენებლობა, რომლის სიგრძე შეადგენს 22 კმ, მეორე ალტერნატივა ითვალისწინებს არსებული ეგხ-ის გაორჯაჭვიანებას დერეფნის ცვლილების გარეშე, თუმცა წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, არსებული ეგხ-ს დერეფანი გადის დასახლებულ პუნქტში (სოფ. გლდანი) და გაორჯაჭვიანების შემთხვევაში, აღნიშნულ მონაკვეთზე, ვერ მოხდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების (ეგხ-ს დაცვის ზონა) დაცვა, ასევე დამატებით ზემოქმედებას გამოიწვევდა დასახლებულ პუნქტზე. მესამე (შერჩეული) ალტერნატივის მიხედვით, ეგხ-ის დერეფანი დაპროექტებულია ისე, რომ არ მოხდეს მჭიდროდ დასახლებული პუნქტის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების გადაკვეთა. გარემოსდაცვითი, ტექნიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, შემოთავაზებული 3 ალტერნატიული ვარიანტიდან, უპირატესობა მიენიჭა ელექტროგადამცემი ხაზის განთავსების III ვარიანტს (9.393 კმ მანძილის ცვლილება). უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა სოციალურ-ეკონომიკური, მათ შორის, გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით.

ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ეგზ-ის დერეფანი დაყოფილია ოთხ მონაკვეთად, რომლის საწყისი წერტილი მდებარეობს 220 კვ ძაბვის ქ/ს „გლდანის“ ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: X:488519; Y:4628659). აღნიშნული ქვესადგურიდან, საპროექტო ეგზ-ის დერეფანი გაივლის ჩრდილოეთის მიმართულებით და გადაკვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალს (E60 - თბილისის შემოვლითი გზა). გზის გადაკვეთის შემდეგ, ეგზ-ის დერეფანი ჩრდილოეთის მიმართულებით გაივლის ფერდობზე, საიდანაც გრძელდება და კვეთს მდ. გლდანულას და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თბილისი-თიანეთის საავტომობილო გზას, რის შემდეგ საპროექტო ეგზ-ს დაერთება მოხდება ზაჰესის დასახლების ჩრდილოეთით არსებულ ეგზ-სთან. აღნიშნულ მონაკვეთზე ეგზ-ის დერეფანი გაივლის დასახლებულ პუნქტთან, უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან 55-65 მეტრის დაშორებით. ანგარიშის თანახმად, არსებული ეგზ-ის დერეფანთან შეერთების შემდეგ იწყება ეგზ-ს მეორე სარეკონსტრუქციო მონაკვეთი, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს არსებული ანძების გაორჯაჭვიანებას, ეგზ-ის დერეფნის ცვლილების გარეშე. არსებული ეგზ-ის დერეფანი ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გაივლის ჯვრის მონასტერს, დაახლოებით 1.6 კმ-ის დაცილებით და ეშვება სოფ. წიწამურის მიმართულებით. აღნიშნულ მონაკვეთზე ეგზ-ის დერეფნიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 40 მეტრში. სოფ. წიწამურის შემდეგ, ეგზ-ის დერეფანი გადაკვეთს მდ. არაგვს და შედის არაგვის ხეობის წყალსადენების სათავე ნაგებობების პირველ ზონაში. ანგარიშის თანახმად, მესამე მონაკვეთზე, წყალსადენის სათავე ნაგებობის ფარგლებში, ეგზ-ის დერეფანი გაივლის 1,2 კმ სიგრძეზე. პროექტის მიხედვით, აღნიშნულ მონაკვეთზე არსებული საყრდენები აღჭურვილია ორჯაჭვიანი ხაზისათვის საჭირო საშუალებებით და შესაბამისად, გათვალისწინებული იქნება მხოლოდ სადენების მოწყობის სამუშაოების ჩატარება. წყალსადენის ტერიტორიის შემდეგ ეგზ-ის დერეფანი გადის ნატახტრის გზაგამტარის მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფ. ძველ ქანდამდე, საიდანაც ეგზ-ის დერეფანი მიემართება სამხრეთით ქ/ს „ქსანი 500“-ის მიმართულებით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო უბანზე გათვალისწინებულია 56 ერთეული ახალი საყრდენის მონტაჟი, საიდანაც 48 ერთეული იქნება ორჯაჭვიანი კუთხურ-ანკერული ლითონის საყრდენი, ხოლო 8 ერთეული ორჯაჭვიანი შუალედური ლითონის საყრდენი (Y220-2+14 – 9 ცალი, Y220-2T+14 – 1 ცალი, Y220-2+9 – 9 ცალი, Y220-2T+9 – 3 ცალი, Y220-2+5 – 13 ცალი, Y220-2 – 3 ცალი, Y220-3 – 10 ცალი, ПС220-6 – 4 ცალი, ПС220-26+1,8 – 4 ცალი). 220 კვ ეგზ „არაგვი“-ს არსებულ ეგზ-ზე ელექტროენერჯის გატარება ხდება AC-400/51 მარკის სადენით, მეორე ჯაჭვისათვის ასევე გათვალისწინებულია არსებულის შესაბამისი ახალი AC-400/51 მარკის ფოლად-ალუმინის სადენის მონტაჟი.

ანგარიშის თანახმად, ლითონის საყრდენების სექციების აკრება მოხდება (გარდა შენადული სექციისა) უშუალოდ სამშენებლო მოედანზე სამონტაჟო ჭანჭიკების საშუალებით. საჰაერო ეგზ ფოლადის საყრდენების კოროზიისაგან დასაცავად პროექტით გათვალისწინებულია ცხელი მოთუთიება. 220 კვ ძაბვის საპროექტო საჰაერო ეგზ-ს საყრდენებისათვის საძირკვლები შერჩეულია საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე. უნიფიცირებული საყრდენებისთვის საძირკვლებად გამოყენებული იქნება ანაკრები რკინაბეტონის სოკოსებრი ბლოკები. რკინა-ბეტონის საძირკვლების ქვეშ ქვაბულის ფსკერის მოსასწორებლად გათვალისწინებულია 10 სმ სისქის ხრემის ან ღორღის დატკეპნილი ფენის მოწყობა. შესაძლო ქვათაცვენის თავიდან აცილების მიზნით საყრდენებთან: „არაგვი-2“ N6; „არაგვი 1-2“ N5/7; N6/8; N7/9; N8/10; N9/11 - მოეწყობა ბეტონის დამცავი კედელი, რომელიც მოეწყობა ღორღის ფენაზე სისქით 20 სმ.

გზმ ანგარიშის თანახმად, ეგბ-ის დაცვის ზონად გათვალისწინებულია 25 მეტრი მანძილი განაპირა სადენებიდან, ეგბ-ის ორივე მხარეს. დაგეგმილი საქმიანობისთვის გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არაა. პერსონალის მომსახურებისათვის და საჭირო მასალების დასაწყობებისთვის გამოყენებული იქნება ქ/ს „გლდანი 220“-ისა და ქ/ს „ქსანი 500“-ის ტერიტორიები. სამშენებლო ტექნიკის განთავსება მოხდება სამშენებლო დერეფანში, ანძების სამშენებლო მოედნებზე. სამშენებლო სამუშაოების ვადად განსაზღვრულია დაახლოებით 1.2-1.5 წელი. წლის განმავლობაში სამუშაო დღეების რაოდენობა იქნება 350, ერთცვლიანი, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. პროექტის სამშენებლო - სარეაბილიტაციო სამუშაოების ეტაპზე დასაქმდება 34 ადამიანი.

ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შესრულდება სამშენებლო უბნების მოსამზადებელი სამუშაოები, რაც გულისხმობს დერეფნის მცენარეული საფარისგან გასუფთავებას, ნაყოფიერი ფენის და გრუნტის მოხსნას/დასაწყობებას, დროებითი მისასვლელი გზების მოწყობას, მშენებლობისათვის საჭირო მასალების დასაწყობებას.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, გარდა 9.393 კმ სიგრძის ეგბ-ს ახალი ანძებისა, მისასვლელი გზები არსებობს თითქმის ყველა ძველ ანძასთან. ეგბ-ს ახალ მონაკვეთზე წარმოდგენილია ადგილობრივი გრუნტიანი გზები, რომლებიც ამ ეტაპზე გამოიყენება აღნიშნულ არეალში არსებული ელექტროგადამცემი ხაზების და ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მომსახურების მიზნით. აღნიშნული გზების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ახალი გზები მოეწყობა უშუალოდ საპროექტო ანძებთან მისასვლელად. თითოეულ ანძასთან მისასვლელი გზების მაქსიმალური სიგრძე არ იქნება 100-150 მ-ზე მეტი. საპროექტო ანძებამდე მისასვლელი გზების საერთო ფართობი დაახლოებით იქნება 16 000 მ².

ანგარიშის მიხედვით, საპროექტო 9.393 კმ სიგრძის მონაკვეთზე, რომლის ფართობი შეადგენს 6 654,4 მ²-ს, ჩატარდება გრუნტის საექსკავაციო სამუშაოები, საერთო ჯამში იგეგმება დაახლოებით 7500 - 8000 მ³ გრუნტის ამოღება, რომელიც დროებით დასაწყობდება თითოეული ანძის მიმდებარედ, სამშენებლო მოედნების ფარგლებში და შემდგომში ძირითადად გამოყენებული იქნება უკუყრისთვის, ანძების საძირკვლებისათვის მოწყობილი თხრილების შესავსებად და მიმდებარე ტერიტორიების გეგმარებისათვის. ფუჭი ქანების სახით მუდმივ განთავსებას შეიძლება დაექვემდებაროს დაახლოებით 1200-1500 მ³, რომელიც განთავსდება ქ. თბილისის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონებზე.

ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რაოდენობა დაახლოებით იქნება 2 732,21 მ³. საყრდენი ანძების განთავსების ტერიტორიებზე მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დროებით, მაქსიმუმ 1-2 კვირით, განთავსდება ანძების მიმდებარედ, სამშენებლო მოედნებზე და ანძის მოწყობის შემდეგ გამოყენებული იქნება რეკულტივაციის მიზნებისათვის. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა მოხდება, „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების მიხედვით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე წყალი გამოყენებული იქნება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისთვის, სამშენებლო უბნების ტერიტორიაზე განთავსდება წყლის სამარაგო რეზერვუარები, რომელიც განკუთვნილი იქნება სამეურნეო დანიშნულების წყლისთვის, ხოლო სასმელი წყლით მომარაგება განხორციელდება ბუტილირებული სახით. მშენებლობის ეტაპზე, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების შესაგროვებლად სამშენებლო მოედნებზე განთავსდება ბიო-ტუალეტები, რომლის გატანა მოხდება პერიოდულად, შესაბამისი

სამსახურების მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე. ეგბ-ს ექსპლუატაციის ეტაპზე ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ეგბ-ის დერეფანი გადაკვეთს რამდენიმე მდინარეს და ბუნებრივ ხევს, კერძოდ: მდ. გლდანულას, მდ. არაგვს და მდ. ნარეკვავს. აღსანიშნავია, რომ მდ. არაგვის და მდ. ნარეკვავის გადაკვეთის წერტილებში ან მათ მიმდებარედ, რაიმე სამშენებლო თუ სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება დაგეგმილი არ არის. პროექტის განხორციელების შედეგად ზემოქმედების ძირითად ობიექტს წარმოადგენს მდ. გლდანულა, თუმცა ეგბ-ს ანძების განთავსება არ იგეგმება მდინარეების კალაპოტში. მდინარის სანაპიროდან უახლოესი საყრდენი ანძა (N13/15) განთავსებული იქნება მარჯვენა სანაპიროს პირველ ტერასაზე, სადაც მდინარის კალაპოტისა და ანძის განთავსების წერტილის ნიშნულებს შორის სიმაღლეთა სხვაობა შეადგენს 2.0-2.5 მეტრს, ხოლო დაშორება 20-25 მეტრს. ანგარიშის თანახმად, ანძის განთავსების ტერიტორიაზე მდინარის მიერ ეროზიის ან ანძის დატბორვის რისკების შეფასების მიზნით ჩატარებული იქნა მდინარე გლდანულას მაქსიმალური ხარჯების და ზოგადი მორეცხვის დონეების გაანგარიშება. შედეგების მიხედვით ანძის განთავსების ტერიტორიის დატბორვა ან წარეცხვა მოსალოდნელი არ არის. მდინარეების კვეთებზე გათვალისწინებული იქნება „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილება.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ ცნობით საპროექტო ანძები (GPS კოორდინატები: X-468510.1; Y - 4639983.63) განთავსებულია კოლექტორი მილხინას და ლამი მისაქციელის სარწყავი სისტემის გამანაწილებელი არხის სიახლოვეს, ასევე (GPS კოორდინატები: X-468777.991; Y-4640010.09) კოლექტორის სიახლოვეს, სადაც ორივე შემთხვევაში დაცულია როგორც კოლექტორის, ასევე გამანაწილებლის გასხვისების ზოლები, შესაბამისად შპს „საქართველოს მელიორაცია“ არ არის წინააღმდეგი, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, განხორციელდეს ელექტროგადამცემი ხაზი „არაგვის“ რეკონსტრუქცია/ გაორჯაჭვიანება და ექსპლუატაცია.

ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე მიწისქვეშა წყლების ხარისხის გაუარესება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ტექნიკის ან სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ გაუმართაობასთან ან საწვავის და ზეთების დაღვრასთან, ასევე ნარჩენების არასწორ მართვასთან. ვინაიდან სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში საწვავის მარაგის შექმნის მიზნით რეზერვუარების მოწყობა არ იგეგმება და ასევე, საყრდენების საძირკვლის მოწყობის ეტაპზე არ არის გათვალისწინებული ნავთობპროდუქტების გამოყენება, გრუნტის წყლების დაბინძურებას ადგილი არ ექნება.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, „220 კვ ძაბვის ეგბ „არაგვის“ რეკონსტრუქცია/გაორჯაჭვიანების საპროექტო ტერიტორია კვეთს მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების #10002475 (შპს ჯორჯიან ნატურალ პროდუქტ“) ლიცენზიის სანიტარიული დაცვის პირველ (მკაცრი რეჟიმის) ზონას. „წიადის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, წარმოდგენილია ლიცენზიის მფლობელის შპს „ჯორჯიან ნატურალ პროდუქტის“ თანხმობა. ამასთან, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო არეალი მოიცავდა სასარგებლო წიადისუელის მოპოვების მიზნით სააგენტოში შემოსულ ID 107120, ID 107582 განაცხადების კონტურებს, რომელზეც დღეის მდგომარეობით საქმის წარმოება შეწყვეტილია. ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიებზე ფიქსირდება ქვიშა-ხრემის გამოვლინება, დაექვემდებარება საკომპენსაციო თანხის გადახდას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ

არის წინააღმდეგი საკომპენსაციო თანხების გადახდის პროცედურების დაცვით განხორციელდეს წარმოდგენილი საქმიანობა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების სტაციონარული წყაროების გამოყენება არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან სამშენებლო მასალები საპროექტო ტერიტორიაზე მზა სახით შემოვა. მშენებლობის ეტაპზე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების მთავარი წყაროები იქნება სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები. სამშენებლო ტექნიკის ძრავების მუშაობისას ადგილი ექნება მცირე რაოდენობით არაორგანული მტვრის და წვის პროდუქტების ემისიებს. ეგხ-ს ექსპლუატაციის ეტაპზე, კერძოდ სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების პროცესში, მავნე ნივთიერებათა ემისიების რაოდენობა იქნება უმნიშვნელო. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების მინიმუმაციის მიზნით გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, კერძოდ, მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი, სამუშაო უბნების მორწყვა, ნაყარი სამშენებლო მასალების შენახვის წესების დაცვა და სხვა. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ეგხ-ს სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, დაცული იქნება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“ დადგენილი მანძილები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ხმაურის ძირითად წყაროს წარმოადგენს მშენებლობის პროცესში ჩართული ტექნიკა-დანადგარები (თვითმცლელი, ბულდოზერი, ამწე მექანიზმები, ექსკავატორი, ბეტონშემრევი მანქანა) და სატრანსპორტო საშუალებები. გაანგარიშების მიხედვით სამშენებლო ტექნიკა-დანადგარების ერთდროული მუშაობის შედეგად ხმაურის გავრცელების მაქსიმალური დონე არ აღემატება 95 დბა-ს. გამოთვლის შედეგად დადგინდა, რომ ტექნიკა-დანადგარების ერთდროული მუშაობისას ხმაურის დონე უახლოესი საცხოვრებელთან (40 მეტრი) მიმართებით შეადგენს 64 დბა-ს. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში, ამასთანავე საცხოვრებელ ზონებსა და სამშენებლო მოედნებს შორის არსებობს ხელოვნური და ბუნებრივი ბარიერები, როგორც არის ხე-მცენარეები, შენობა-ნაგებობები, რაც შეამცირებს ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 220 კვ ძაბვის ეგხ „არაგვის“ საპროექტო ტერიტორია კვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-9) თბილისის შემოსავლელისა და საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (ნატახტარი-ჟინვალი) საპროექტო მონაკვეთს. სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „არაგვის“ გაორჯაჭვიანების სამუშაოების წარმოებისას გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2021 წლის 23 ივლისის N2-03/12123 წერილით განსაზღვრული ტექნიკური პირობები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ეგხ-ს დაახლოებით 100 მ სიგრძის დერეფანი გაივლის ზურმუხტის ქსელის მიღებული უბნის „საგურამო GE000047“ ტერიტორიას, თუმცა ზურმუხტის ქსელის გადაკვეთის უბანზე საყრდენი ანძების განთავსება დაგეგმილი არ არის, კვეთა ზურმუხტის ტერიტორიაზე განხორციელდება საჰაერო გზით. ასევე, საპროექტო დერეფანში არ ვხვდებით ზურმუხტის ქსელის უბან „საგურამო GE000047“ -ის სტანდარტულ ფორმაში მოცემული ჰაბიტატებიდან არცერთს. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ეგხ-ის მიმდებარედ არსებული მცენარეული საფარი დაბალი საკონსერვაციო ღირებულებისაა. საპროექტო ეგხ-ეს მიმდებარედ მნიშვნელოვანი საკონსერვაციო ღირებულების მცენარეთა სახეობიდან დაფიქსირდა მხოლოდ შერეული თავვისარა (*Ruscus aculeatus*), აგრეთვე,

საპროექტო დერეფანში გვხვდება საქართველოს მოქმედი წითელი ნუსხით დაცული 2 სახეობა - თელა და შავი ღვია. წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, საპროექტო დერეფანში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, წითელ ნუსხაში შესული ძუძუმწოვრებიდან გვხვდება: ნაცრისფერი ზაზუნელა (*Cricetulus migratorius*), ამიერკავკასიური ზაზუნა (*Mesocricetus brandti*), კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*), წავი (*Lutra lutra*). ჩატარებული კვლევებზე დაყრდნობით საკვლევ ტერიტორიაზე და მის არეალში არსებულ ჰაბიტატებში აღწერილია ფრინველთა შემდეგი სახეობები: სკვინჩა (*Eurasian chaffinch*), თეთრი ბოლოქანქარა (*Motacilla*), სოფლის მერცხალი (*Hirundo rustica*), ქალაქის მერცხალი (*Delichon urbica*), ღაჟო (*Lanius*) და სხვა. წითელ ნუსხაში შესული სახეობებიდან საპროექტო ტერიტორიაზე დაფიქსირდა ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*) თეთრი ყარყატი (*Ciconia ciconia*) და შავი ყარყატი.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, ეგზ-ის ბუფერიდან 192553 კვ.მ მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო არეალში, კერძოდ, მცხეთის მუნიციპალიტეტში ტაქსაციის ფარგლებში 17,1796 ჰა-ზე აღრიცხული იქნა 1198 ხე, ჯამური მოცულობით 56,68 მ3. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ვინაიდან საპროექტო არეალი მოიცავს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს, განხორციელდება განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მოპოვება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რისთვისაც მომზადებულია „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით, მცხეთის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი, 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „არაგვი“-ს გაორჯაჭვიანების პროექტის მონაკვეთი მდებარეობს თბილისის ეროვნული პარკის საზღვრებში. წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ახლავს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიებზე მდებარე 3 926 კვ.მ მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე“.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, რომელიც მოიცავს მუხრან-საგურამოს ვაკის ნაწილს, მიოპლიოცენური უბეში შემადგენლობის მოლასური ნალექებითაა აგებული. სამხრეთი ნაწილი, საგურამოს ქედი აგებულია ნეოგენური ნალექი ქანებით (კონგლომერატები, ქვიშაქვები, თიხები). ეგზ-ს ახლად მოსაწყობი მონაკვეთის დერეფანი, რომელიც მოიცავს გლდანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას, გეოლოგიურად აგებულია ქვედა მიოცენური ნალექებით, ლითოლოგიურად წარმოდგენილი ქვიშაქვების და თიხების მორიგეობით, რომლებიც ტრასის ზოლის მონაკვეთში, გარკვეულ ადგილებში ზემოდან გადაფარულია მეოთხეული ასაკის ალუვიური, პროლუვიური, დელუვიური და კოლუვიური ნალექებით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საკვლევ უბანი განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საყრდენების დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით, ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები. საველე პირობებში გაყვანილ იქნა 15 ჰაბურღილი. საძირკვლის დაფუძნების სიღრმეზე გამოიყო შვიდი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი სგე - I ნიადაგი; სგე - II ტექნოგენური ნაყარი გრუნტი, სგე - III დელუვიური თიხოვანი გრუნტი, სგე - IV დელუვიურ-პროლუვიური თიხოვანი გრუნტი, სგე - V დელუვიურ-პროლუვიური ღორღოვანი გრუნტი, სგე - VI მიოცენ-პლიოცენის მსხვილნატეხოვანი

გრუნტი, სვე -VII ძირითადი ქანი, ე. წ. „მაიკოპის წყება“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარებული გეოტექნიკური კვლევის მიხედვით, საყრდენების დაფუძნების და მის მიმდებარე ტერიტორიებზე საშიში გეოდინამიკური პროცესების (მეწყერი, ეროზია, ღვარცოფი) გავრცელების კვალი არ ფიქსირდება და საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნით გათვალისწინებული რეკომენდაციების გატარების შემთხვევაში (შემარბილებელი ღონისძიებების თანახმად, კვლევის შედეგების მიხედვით, რამდენიმე უბანზე გატარდება), მშენებლობის ეტაპზე მნიშვნელოვანი გართულებები მოსალოდნელი არ არის. ასევე წარმოდგენილია ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზებზე საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების პრევენციის მიზნით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. არასახიფათო ნარჩენებიდან წარმოიქმნება: ხე-ტყის გაჩეხვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი, მიწის სამუშაოების დროს ამოღებული გრუნტი, რომელიც ძირითადად გამოყენებული იქნება უკუყრისთვის ანძების სიცარიელების ამოსავსებად, ელექტროსადენების ნარჩენები და სხვა. სახიფათო ნარჩენებიდან წარმოიქმნება: საწმენდი მასალები, სატრანსპორტო საშუალებების ზეთის ფილტრები და სხვა. პროექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენები, კლასიფიცირებული იქნება მათი სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით. გარდა ამისა, ნარჩენების დროებითი დასაწყობებისთვის სამშენებლო მოედნებზე განთავსდება სათანადო მარკირების მქონე დახურული კონტეინერები. მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების შემდგომი მართვა განხორციელდება ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორების მიერ. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციის მიზნით, გზმ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ქ. თბილისის და მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე გამავალი 220 კვ ეგზ „არაგვი“-ს გაორჯაჭვიანების პროექტისთვის გამოყოფილ დერეფანში ჩატარებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევის მიხედვით, N34/36-ე ანძის დერეფნიდან (300 მეტრში) ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს ღვთისმშობლის მიძინების რესტავრირებული დარბაზული ეკლესია. ასევე, საპროექტო ეგზ-ს დერეფნიდან ჯვრის მონასტერი დაცელებულია 1,6 კმ-ით. ანგარიშის თანახმად, პირველ საპროექტო მონაკვეთზე დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები არ გამოირიცხავს გვიანი არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენების რისკებს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით დაცული უნდა იყოს გზმ-ის ანგარიშში მოცემული საპროექტო სქემა არსებული საყრდენების განთავსების ადგილებთან დაკავშირებით, ხოლო საპროექტო ტერიტორიის პირველ მონაკვეთზე (სადაც იგეგმება ახალი ანძების მშენებლობა, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში) მიწის სამუშაოები უნდა ჩატარდეს არქეოლოგიის ზედამხედველობით, ხოლო ზედამხედველობის დასრულების შემდეგ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი ანგარიში და ამ ანგარიშის შედეგები. გარდა აღნიშნულისა, სამუშაოების მიმდინარეობისას დაცული უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე განთავსდა გლდანის რაიონის გამგეობისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის

მერიის საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე, ასევე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 25 დეკემბერს, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელი ქანდის საჯარო სკოლის შენობაში და სოფელ საგურამოს ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში, ხოლო 26 დეკემბერს საჯარო განხილვა გაიმართა თბილისის მუნიციპალიტეტში, გლდანის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საკონსულტაციო კომპანია - შპს „გამა კონსალტინგის“, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. სოფელ ძველ ქანდაში საჯარო განხილვის დროს დამსწრე საზოგადოების შეკითხვა შეეხებოდა კომპენსაციის საკითხს, ასევე, პროექტის განხორციელების შედეგად ხე-მცენარეთა და ფრინველთა სახეობებზე შესაძლო ზიანის საკითხს. საჯარო განხილვის დროს დამსწრე საზოგადოებამ გამოთქვა მოსაზრება გაორჯაჭვიანების პროცესის შედეგად მათი საცხოვრებელი პირობების გაუარესების თაობაზე. საჯარო განხილვის მსვლელობისას გამოთქმული შეკითხვები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში. სოფელ საგურამოში და გლდანის რაიონის გამგეობაში გამართულ საჯარო განხილვაზე პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოთქმულა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, ნარჩენების მართვის გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის პირველი დანართის 28-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თბილისის და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „არავის“ რეკონსტრუქცია/გაორჯაჭვიანებასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/თანდართული და დამატებითი დოკუმენტაციის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, ასევე, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
4. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სააგენტოში დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა იმ ჰაბიტატების შესახებ, რომლებიც ხეების ჭრის შედეგად მოსალოდნელ ზემოქმედებას (განადგურება, დეგრადაცია, ფრაგმენტაცია)

დაექვემდებარება და ასევე, იმ ცხოველთა სახეობებზე, რომლებიც გვხვდებიან მითითებულ ჰაბიტატებში. ამასთან, უზრუნველყოს ჭრას დაქვემდებარებული მცენარეთა სახეობების დათვალიერება, ფრინველთა ბუდეების და ხელფრთიანთა თავშესაფრების საპროექტო ტერიტორიაზე არსებობის დადგენის მიზნით, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოში წარმოადგინოს ზემოქმედების თავიდან აცილების, შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ქმედებები. ასევე, განხორციელდეს სადენების მარკირება, მათ შორის მაღალი სენსიტიურობის მქონე ტერიტორიებზე;

5. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კუთხით განსახორციელებელი ქმედებების სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მაღალი სენსიტიურობის მქონე ტერიტორიებზე, მათ შორის იმ მონაკვეთებზე, სადაც ეგზ კვეთს დაცული ტერიტორიების და ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტის საგურამო - GE0000047 საზღვრებს. მონიტორინგის შედეგების მიხედვით საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები;
6. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ მშენებლობის ეტაპზე უზრუნველყოს ფასკუნჯის და საპროექტო ტერიტორიაზე სხვა „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობების განსაკუთრებით მაღალი კონცენტრაციის გავრცელების ტერიტორიაზე მონიტორინგის განხორციელება და მისი შედეგებიდან გამომდინარე დამატებითი შემარბილებელი და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების სააგენტოსთან შეთანხმება. ზემოაღნიშნული საკითხი აისახოს მონიტორინგის გეგმაში;
7. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ბიოლოგიურ გარემოს მონიტორინგი ფრინველებზე, ასევე ხელფრთიანებზე დაკვირვების კუთხით მინიმუმ 5 წლის განმავლობაში, ხოლო 5 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ მონიტორინგის ანგარიშების შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვროს შემდგომი დაკვირვების გაგრძელების საჭიროება, ასევე საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს და სააგენტოსთან შეთანხმდეს შესაბამისი რეკომენდაციები;
8. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, ნებისმიერი ქმედება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმებით;
9. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს იმგვარად, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დაცულ ტერიტორიებზე უარყოფითი ზემოქმედება;
10. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსითა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
11. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ უზრუნველყოს ეგზ-ის ანძების განთავსების ზონებში და მათ მიმდებარედ, რეკონსტრუქცია-ექსპლუატაციის პერიოდში საშიში გეოლოგიური პროცესების მონიტორინგის წარმოება;
12. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა;

13. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსაზღვრული შესაბამისი ტექნიკური პირობების დაცვით;
14. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ უზრუნველყოს ეგხ-ის არსებულ მონაკვეთზე გზშ-ის ანგარიშში მოცემული საპროექტო სქემის დაცვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმართებით, ხოლო ეგხ-ის ახალი ანძების მშენებლობისას მიწის სამუშაოები განახორციელოს არქეოლოგიის ზედამხედველობით და ზედამხედველობის დასრულების შემდგომ უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შესაბამისი ანგარიშისა და ამ ანგარიშის შედეგების წარდგენა. ამასთან საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმის დაცვით და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმებით;
15. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;
16. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების, ასევე ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
17. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
18. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
19. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
20. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე გლდანის რაიონის გამგეობისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
21. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



